ხაშურის მოამბე

№8 (382) 6 მარტი, ორშაბათი, 2023 წელი

გისურვებთ ბედნიერებას, ოჯახურ სიმშვიდეს, ჯანმრთელობასა და წარმატებებს!

ჩვენდა საამაყოდ, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში, ისტორიულად, ყოველთვის დაფასებული იყო ქალის როლი საზოგადოებისა და ქვეყნის განვითარებაში. ძვირფასო ქალბატონებო, უდიდესი პატივისცემით გილოცავთ ქალთა საერთაშორისო დღეს, გისურვებთ ბედნიერებას, ოჯახურ სიმშვიდეს, ჯანმრთელობასა და წარმატებებს! თქვენს ცხოვრებაში შემოსულიყოს გაზაფხული, მზე, სილამაზე, სითბო და სიყვარული.

ზაალ (ზაზა) დუგლაძე,
ხაშურისა და ქარელის მაჟორიტარი დეპუტატი

ვუსურვებთ ყველა ქალბატონს ოცნებების ახდენას და მშვიდობიან და ერთიან საქართველოში ცხოვრებას!

ძვირფასო ქალბატონებო, უდიდესი პატივისცემით გილოცავთ 8 მარტს – ქალთა საერთაშორისო დღეს, და გისურვებთ ბედნიერებას, წინსვლას და წარმატებებს! საქართველოში ქალის როლი საზოგადოებისა და ქვეყნის განვითარებაში ტრადიციულად, ყოველთვის დაფასებული იყო. ჯერ კიდევ მე-12 საუკუნეში ქვეყანას მეფე თამარი მართავდა. მე-20 საუკუნის დასაწყისში კი, როდესაც პოლიტიკურ პროცესებში და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქალების მონაწილეობა იშვიათობა იყო, საქართველოს დამოუკიდებელ რესპუბლიკას უკვე ჰყავდა პოლიტიკური პარტიისა და დამფუძნებელი კრების წევრი ქალები. დღესაც, ქალები აქტიურად მონაწილეობენ საზოგადოებრივი თუ პოლიტიკური ცხოვრების ყველა სფეროში და ქვეყნის განვითარებაში საკუთარი მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ. ვუსურვებთ ყველა ქალბატონს ოცნებების ახდენას და მშვიდობიან და ერთიან საქართველოში ცხოვრებას!

თენგიზ ჩიტიაშვილი,
ხაშურის მუნიციპალიტეტის მერი

უფალი შეგეწიოთ და მშვიდობა და კეთილდღეობა არ მოუშალოს თქვენს ოჯახებს, ძვირფასო ქალბატონებო!

სიმბოლური და არაშემთხვევითია გაზაფხული რომ ქალთა დღესასწაულებით იწყება, დედის დღე, ქალთა საერთაშორისო დღე - მინდა გავაერთიანო ორივე თარიღი და მოგილოცოთ დიდი სიყვარულით, პატივისცემით, გულშემატკივრული დამოკიდებულებით, ჩემო ძვირაფსო ქალბატონებო! კარგად ვიცით, ოჯახის თუ სახელმწიფოსთვის არაერთი მნიშვნელოვანი საკითხი ქალის მხრებზე გადადის, ამიტომ მინდა ძლიერი მხრები გისურვოთ, სიყვარული, ბედნიერი წუთების დანახვა და განცდა, საიმედო გვერდში მდგომები. უფალი შეეწიოს თქვენს, ჩვენს ოჯახებს, შვილებს, ჩვენ ქალაქს და ქვეყანას, მშვიდობა, განვითარება, კეთილდღეობა არ მოგვიშალოს!

ნინო ლიპარტელიანი,
ხაშურის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

აღინიშნა დიდი უკრაინელი პოეტის იუბილე

სურამში ლესია უკრაინკას 152 წლის იუბილე აღინიშნა. გამოჩენილი უკრაინელი პოეტი ქალის ძეგლი ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა თენგიზ ჩიტიაშვილმა, მუნიციპალიტეტის მერიის და სურამის ლესია უკრაინკას მუზეუმის წარმომადგენლებთან ერთად, გვირგვინით შეამკო.

ლესია უკრაინკა 1871 წლის 25 თებერვალს დაიბადა უკრაინის ქალაქ ნოვოგრად-ვოლინსკში. პოეტი 1913 წელს სურამში გარდაიცვალა.

ლესია უკრაინკას ხსოვნისადმი მიძღვნილი ღონისძიებები სურამში ყოველწლიურად იმართება.

ხაშურში, ტაბიძის ქუჩაზე, არსებული სკვერის რეაბილიტაციის სამუშაოები დაიწყო

ხაშურში, ტაბიძის ქუჩაზე არსებული სკვერის რეაბილიტაციის სამუშაოები დაიწყო.

ამ ეტაპზე მიმდინარეობს ძველი კონსტრუქციების დემონტაჟი.

პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულია, ახალი შადრევნის მოწყობა, გარე განათებებისა და დასასვენებელი სკამების მონტაჟი, მოეწყობა კალათბურთისა და სკეიტბორდის მოედნები, ახალი ატრაქციონები, ტრენაჟორები, დაიგება ქვაფენილი, მოეწყობა მწვანე სივრცეები.

პროექტის ღირებულება 1 234 777 ლარია.

ხაშურის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის სამსახურის ინფორმაციით, სამუშაოები ზაფხულამდე დასრულდება.

აღნიშნული პარკი ქალაქის ცენტში მდებარეობს და განსაკუთრებით, ახალგაზრდების საყვარელი ადგილია, ამიტომ სივრცის გალამაზება და კომფორტულად მოწყობა, მნიშვნელოვანია, როგორც ქალაქის მცხოვრებლებისთვის, ასევე სტუმრებისთვის.

ა(ა)იპ „სკოლისგარეშე სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულება ხაშურის კომპლექსური სასპორტო სკოლის“ 2022 წლის მუშაობის ანგარიში

ხაშურის კომპლექსურ სასპორტო სკოლაში ფუნქციონირებს სპორტის ცამეტი სხვადასხვა სახეობა (ქართული ჭიდაობა, სამბო, ძიუდო, ბერძნულ-რომაული ჭიდაობა, თავისუფალი ჭიდაობა, ფეხბურთი, კალათბურთი, რაგბი, ჩოგბურთი, ძალოსნობა, ბატუტზე ხტომა, ჭადრაკი, მკლავჭიდი), სადაც საწვრთნელ ვარჯიშებში ჩართულია 1359 ბავშვი. სკოლის ყველა მწვრთნელ-მასწავლებელი ლიცენზირებულია. საწვრთნელი ვარჯიშები მიმდინარეობს დამტკიცებული განრიგის მიხედვით. ვარჯიშების ჩატარებას სისტემატურ ზედამხედველობას უწევენ სკოლის დარგობრივი სპეციალისტები. საწვრთნელი ვარჯიშები ტარდება დახურულ დარბაზებსა

და ღია სპორტულ მოედნებზე, რომლებიც აღჭურვილია სათანადო სპორტული ინვენტარით. 2022 წელს, სპორტული ფედერაციებიდან მოსული დებულებების თანახმად, მონაწილეობა მივიღეთ სხვადასხვა სპორტულ შეჯიბრებებში საქართველოს პირველობებსა და ტურნირებში მუნიციპალიტეტის ნაკრები გუნდის სახელით, რომელიც დაკომპლექტებულია სასპორტო სკოლის აღსაზრდელებით. ასევე, ჩვენი სპორტსმენები არიან საქართველოს ეროვნული ნაკრები გუნდების შემადგენლობაში სპორტის სხვადასხვა სახეობებში, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს საქართველოს ჩემპიონატებსა და საერთაშორისო ტურნირებში, სადაც საკმაოდ კარგ წარმატებასაც მიაღწიეს. ასე,მაგალითად: 2022 წელს გვყავს საქართველოს ჩემპიონი ჭიდაობა სამბოში, ნოზაძე გიორგი, რომელმაც 2022 წლის 11-12 თებერვალს, თბილისში, საქართველოს ჩემპიონატზე, ჭაბუკებში დაიკავა I ადგილი. საქართველოს ჩემპიონი სამბოში, დვალაშვილი ზაური, რომელმაც, 2022 წლის 16-17 დეკემბერს, თბილისში, საქართველოს ჩემპიონატზე დაიკავა I ადგილი. საქართველოს ჩემპიონი ქართულ ჭიდაობაში, გაფრინდაშვილი ხვიჩა, რომელმაც 2022 წლის 13-14 მაისს, ხაშურში, საქართველოს ჩემპიონატში ახალგაზრდებში დაიკავა I ადგილი. საქართველოს ჩემპიონი ძიუდოში, დვალაშვილი ზაური, რომელმაც 2022 წლის 28-30 დეკემბერს, თბილისში, საქართველოს ჩემპიონატზე დაიკავა I ადგილი. საქართველოს 2 გზის ჩემპიონი ძალოსნობაში, ოდიკაძე გიგა, რომელმაც 2022 წლის 10-13 ივნისს, ზუგდიდში, საქართველოს ჩემპიონატზე ახალგაზრდებში დაიკავა I ადგილი და 2022 წლის 20-22 სექტემბერს, დუშეთში, საქართველოს ჩემპიონატზე ახალგაზრდებში დაიკავა I ადგილი. ევროპის მე-2 პრიზიორი ახალგაზრდებში ძალოსნობაში, ოდიკაძე გიგა, რომელმაც 2022 წლის 8-11 აგვისტოს, პოლონეთში, ევროპის ჩემპიონატზე ძალოსნობაში ახალგაზრდებში დაიკავა II ადგილი. ევროპის თასის პრიზიორი სამბოში, ნასყიდაშვილი გიორგი, რომელმაც 2022 წლის 12-13 თებერვალს, ბელორუსიაში, ქალაქ მინსკში, ევროპის თასზე დაიკავა II ადგილი. მსოფლიო უნივერსიადის მე-2 პრიზიორი სამბოში, დვალაშვილი ზაური, რომელმაც 2022 წლის 19-24 სექტემბერს, თურქეთში, ქალაქ სამსუნში, მსოფლიო უნივერსიადაზე დაიკავა II ადგილი. გრანდსლემის მე-2 პრიზიორი ჭიდაობა ძიუდოში, მაისურაძე ლუკა, რომელმაც 2022 წლის 1-3 აპრილს, თურქეთში, ანტალიის გრანდსლემზე დაიკავა II ადგილი. გრანდსლემის მე-3 პრიზიორი ჭიდაობა ძიუდოში, მაისურაძე ლუკა, რომელმაც 2022 წლის 4-6 ნოემბერს, აზერბაიჯანში, ქალაქ ბაქოში, ბაქოს გრანდსლემზე დაიკავა III ადგილი. ასტერსის მე-3 პრიზიორი ჭიდაობა ძიუდოში, მაისურაძე ლუკა, რომელმაც 2022 წლის 20-22 დეკემბერს, ისრაელში, ქალაქ იერუსალიმში, იერუსალიმის მასტერსზე დაიკავა III ადგილი. ევროპის ჩემპიონი ჭიდაობა ძიუდოში. მაისურაძე ლუკა, რომელმაც 2022 წლის 1 მაისს, ბულგარეთში, ქალაქ სოფიაში, ევროპის ჩემპიონატზე დაიკავა I ადგილი. ევროპის ღია პირველობის მე-2 პრიზიორი ჭიდაობა ძიუდოში, მაისურაძე ლუკა, რომელმაც 2022 წლის 10-11 სექტემბერს იტალიაში ქალაქ რიჩონეში დაიკავა II ადგილი.

მსოფლიოს მე-3 პრიზიორი ჭიდაობა ძიუდოში, მაისურაძე ლუკა, რომელმაც 2022 წლის 6-12 ოქტომბერს, უზბეკეთში, ქალაქ ტაშკენტში, მსოფლიო ჩემპიონატზე დაიკავა III ადგილი. ევროპის 2 ჩემპიონი რაგბში. გოგიჩაშვილი გურამი, რომელმაც 2022 წლის 20 მარტს, საქართველოში, ქ. თბილისში, ევროპის ჩემპიონატზე დიდებში დაიკავა I ადგილი. ხარაიშვილი გია, რომელმაც 2022 წლის 20 მარტს, საქართველოში, ქ. თბილისში, ევროპის ჩემპიონატზე დიდებში დაიკავა I ადგილი. საქართველოს ჩემპიონი ვეტერანებში ჭიდაობა ძიუდოში, მულაძე დიმიტრი, რომელმაც 2022 წლის 4 მაისს, თბილისში, საქართველოს ჩემპიონატზე ვეტერანებს შორის დაიკავა I ადგილი. მსოფლიო ჩემპიონი ვეტერანებს შორის ჭიდაობა ძიუდოში, მულაძე დიმიტრი, რომელმაც 2022 წლის 6-14 სექტემბერს, პოლონეთში, ქალაქ კრაკოვში, მსოფლიო ჩემპიონატზე ვეტერანებს შორის დაიკავა I ადგილი. მსოფლიო ჩემპიონი ქვიშის ჭიდაობაში, ლევან ქელეხსაშვილი, რომელმაც 2022 წლის 18-19 ივნისს, ესპანეთში, ქ. სანხენხოში, მსოფლიო ჩემპიონატზე დაიკავა I ადგილი. მსოფლიო ჩემპიონი ქვიშის ჭიდაობაში, ლევან ქელეხსაშვილი, რომელმაც 2022 წლის 3-4 სექტემბერს, რუმინეთში, ქალაქ კონსტანტაში, მსოფლიო ჩემპიონატზე დაიკავა I ადგილი. მსოფლიო ჩემპიონი ქართულ ჭიდაობაში, ნოზაძე გიორგი, რომელმაც 2022 წლის 7 ოქტომბერს, საქართველოში, ქალაქ თბილისში პირველად გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე ქართულ ჭიდაობაში დაიკავა I ადგილი.

ასევე, დიდ ყურადღებას ვაქცევთ სოფლად სპორტის განვითარებას, მუნიციპალიტეტის სოფლებში ფუნქციონირებს სპორტის 12 სახეობის სხვადასხვა ჯგუფები

2022 წელს, სპორტული ღონისძიებების პროგრამების დაფინანსება შეადგენს 305900 ლარს. საიდანაც 20555 ლარი გაიხარჯა სპორტული ინვენტარის შეძენაზე, ხოლო 284269 ლარი გაიხარჯა საქართველოს ჩემპიონატებსა და საქართველოში ჩატარებულ ტურნირებზე სხვადასხვა სახეობებში და ასევე, დაფინანსდა სასპორტო სკოლის აღზრდილების გამგზავრების ხარჯები საზღვარგარეთ ჩატარებულ ტურნირებზე, ასევე, დაფინანსდა წარმატებული სპორტსმენების და მათი მწვრთნელების დაჯილდოების ხარჯები და დამსახურებული მწვრთნელების დაჯილდოების ხარჯები. 2022 წელს სასპორტო სკოლის სახელფასო ფონდი შეადგენდა 478604 ლარს.

ასევე, დიდი ყურადღება ექცევა სპორტული ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას. ასე, მაგალითად, 2022 წელს, სურამის რაგბის სტადიონი აღიჭურვა ვიდეო კამერებით, ჭალაზე, ეგრეთწოდებულ ღუდის სტადიონზე, მუნიციპალიტეტის თანადგომით, მოწესრიგდა გასახდელები და სრული დატვირთვით მიმდინარეობს რაგბის ჯგუფების ვარჯიშები. რაც მთავარია ,გაიხსნა ხაშურის „ივერიის” სტადიონი, რამაც მეტი სტიმული მისცა მომავალი ფეხბურთელების აღზრდას და განვითარებას.

2022 წელს სასპორტო სკოლის საკუთარი შემოსავლებმა შეადგინა 37059 ლარი, დღეის მდგომარეობით ნაშთი გვერიცხება 32059 ლარი.

სასპორტო სკოლაში საწვრთნელი შეკრებები გაიარა თბილისის ორმა საფეხბურთო კლუბმა. ასევე, საწვრთნელი შეკრება გაიარა მეზობელი სომხეთის საკალათბურთო გუნდმა „არაპკირმა”.

2022 წლის შედეგები

ქართული ჭიდაობა

1. ხვიჩა გაფრინდაშვილი – საქართველოს ჩემპიონი.
2. ნოზაძე გიორგი --- მსოფლიო ჩემპიონი.

სამბო

1. ნოზაძე გიორგი – საქართველოს ჩემპიონი.
2. დვალაშვილი ზაური – საქართველოს ჩემპიონი.
3. ნასყიდაშვილი გიორგი – ევროპის თასის მე-2 პრიზიორი.
4. დვალაშვილი ზაური – მსოფლიო უნივერსიადის მე-2 პრიზიორი.

ძიუდო

1. ლუკა მაისურაძე – ანტალიის გრანსლემის მე-2 პრიზიორი.
2. ლუკა მაისურაძე – ბაქოს გრანსლემის მე-3 პრიზიორი.
3. ლუკა მაისურაძე – იერუსალიმის მასტერსის მე-3 პრიზიორი
4. ლუკა მაისურაძე -- ევროპის ჩემპიონი.
5. ლუკა მაისურაძე -- ევროპის ღია პირველობის მე-2 პრიზიორი.
6. ლუკა მაისურაძე – მსოფლიო ჩემპიონატის მე-3 პრიზიორი.
7. დიმიტრი მულაძე – საქართველოს ჩემპიონი ვეტერანებს შორის.
8. დიმიტრი მულაძე – მსოფლიო ჩემპიონი ვეტერანებს შორის

ძალოსნობა

1. გიგა ოდიკაძე – საქართველოს ჩემპიონი.
2. გიგა ოდიკაძე – საქართველოს ჩემპიონი.
3. გიგა ოდიკაძე – ევროპის მე-2 პრიზიორი.

რაგბი

1. გურამი გოგიჩაშვილი – ევროპის ჩემპიონი.
2. გია ხარაიშვილი – ევროპის ჩემპიონი.

ქვიშის ჭიდაობა

1. ლევან ქელეხსაშვილი – მსოფლიო ჩემპიონი.
2. ლევან ქელეხსაშვილი – მსოფლიო ჩემპიონი.

ი. ხარაზიშვილი
ა(ა)იპ ხაშურის კომპლექსური სასპორტო სკოლის დირექტორი

ხაშურის ისტორიისათვის (1693 - 2020 წწ)

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ხმ“ #21,22,23,24,25,26,27,28,29 2020 წ. 2021 წ. .#1,2,3,4,5,6,7,8,9,10,11,12,13,14,15,16,17,18,19,20,21,22,23,24,25,26,29,31,33, 34,35,40,41,42,43..2022 წ. #1, 2.3,4,5,6,7,8,9,10,11,12,13,14,15,16,17,18,19,20,21,22,23,24,25,26,27,28,29,30,31,32,33,34,35,36,37,38,39,40,41,46,47,48,49,50. 2023წ.#1,2.3)

ომის შემდეგ გუნდი შეივსო უკან დაბრუნებული ფეხბურთელებით და გაძლიერდა. „ლოკომოტივს“ დაუბრუნდა გრიშა ჯომართიძე, რომელიც ომამდე თბილისის „დინამოში“ დამცველად თამაშობდა, ხაბაროვსკიდან ჩამოვიდა ილია ხაჩიძე (ღიპიანი). ილო იყო შორეული აღმოსავლეთის მხარის „დინამოების“ ნაკრების კაპიტანი. ხაშურის „ლოკომოტივი“ საქართველოს გუნდებს შორის ერთ-ერთი ძლიერი გუნდი იყო და გამარჯვებული გამოდიოდა მათთან მოედანზე სპორტულ ბრძოლაში“

1949 წელი მნიშვნელოვანი მოვლენით აღინიშნა ხაშურის სპორტულ ცხოვრებაში. მწყობრში ჩადგა ხაშურის ფეხბურთის სტადიონი. ეს უმთავრესად სპორტის ამ სახეობაში ხაშურელთა მიღწევების შედეგი იყო.

50-იან წლებში ხაშურის სპორტულ ცხოვრებაში ახალი ფურცელი გადაიშალა. ამას ხელი შეუწყო ხაშურის პედაგოგიური სასწავლებლის პროფილის შეცვლამ. ანუ მანამდე სასწავლებელი მხოლოდ დაწყებითი კლასების მასწავლებლებს ამზადებდა, ახლა ფიზიკური აღზრდის მასწავლებლების მომზადება დაიწყო და სწორედ 50-იანი წლების დასაწყისში მოხდა მათი პირველი გამოშვება. შემდეგ მათ სწავლა გააგრძელეს საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტში, სხვა უმაღლეს სასწავლებლებში და დაუბრუნდნენ რაიონს. ამ ფაქტმა განაპირობა ხაშურისა და არამარტო ხაშურის, რაიონის მთელ რიგ სკოლებში მოსულიყვნენ ფიზიკური აღზრდის კვალიფიციური მასწავლებლები, რომელთა სახელებთანაც მჭიდროდ არის დაკავშირებული ქალაქის და რაიონის სპორტული მიღწევები.

რაიონში განვითარებულ სპორტის ტრადიციულ სახეობებთან ერთად თანდათან ფეხს იკიდებდა სპორტის სხვა სახეობებიც (მძლეოსნობა, ჭადრაკი, ჭიდაობის სხვადასხვა სახეობები, კალათბურთი, ფრენბურთი, მაგიდის ჩოგბურთი და სხვა).

60-იანი წლებიდან განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ფიზიკური კულტურისა და სპორტის მოსახლეობის ფართო მასებში დანერგვასა და პოპულარიზაციას. რაიონში იქმნებოდა ფიზკულტურული კოლექტივები, რომელთა თაოსნობით ეწყობოდა საინტერესო სპორტული პაექრობანი, ხელს უწყობდნენ ნიჭიერი სპორტსმენების გამოვლენას, მათ პროფესიულ დაოსტატებას. ფართო ხასიათი მიეცა წარმოება-დაწესებულებებში, ქალაქად და სოფლად მარტივი სპორტული მოედნების მოწყობას. სპორტი თანდათან იქცა ახალგაზრდობის ცხოვრების განუყოფელ ნაწილად. თითქმის ყველა ორგანიზაციაში მუშაობდა ფიზკულტურის მეთოდისტები და ა.შ. მსხვილ საწარმოებში წარმატებით ინერგებოდა საწარმოო ტანვარჯიში. ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობა თანდათან ღებულობდა მასობრივ ხასიათს.

რაიონში ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდნენ სპორტული საზოგადოებები: „განთიადი“, „სპარტაკი“, „კოლმეურნე“, „ლოკომოტივი“ და სხვები.

უკვე 1973 წლისათვის რაიონში არსებობდა 92 ფიზკულტურული კოლექტივი, რომელშიც გაერთიანებული იყო 14000 ფიზკულტურელი. მათ შორის იყო, 3000 ნიშნოსანი, 4500-მდე თანრიგოსანი (მათ შორის 16 პირველთანრიგოსანი), 2 ოსტატობის კანდიდატი.

1977 წელს რაიონში 92 ფიზკულტურულ კოლექტივში უკვე გაერთიანებული იყო 18000 ფიზკულტურელი, მათ შორის იყო 3400 სხვადასხვა სახის თანრიგოსანი, აქედან 28 იყო პირველთანრიგოსანი, ოსტატობის კანდიდატი - 2, ნიშნოსანი - 6300, ინსტრუქტორ-მწვრთნელი - 1600, სპორტის სხვადასხვა სახეების მსაჯი - 1400.

1979 წელს 88 ფიზკულტურულ კოლექტივში 18000 ფიზკულტურელი იყო გაერთიანებული. ამ წელს მომზადდა 16 პირველთანრიგოსანი, 2600 სხვადასხვა თანრიგოსანი და 4 ათასზე მეტი ნიშნოსანი.

საქართველოს VII საზაფხულო სპარტაკიადაზე სპორტის თორმეტი სახეობიდან რაიონმა მონაწილეობა მიიღო თერთმეტ სახეობაში და საერთო მაჩვენებლებით მეოთხე ადგილი დაიკავა.

1980 წელს რაიონში ფიზკულტურელთა რაოდენობამ 19000-ს მიაღწია, აქედან ნიშნოსანი იყო 4000, პირველთანრიგოსანი – 24, ხოლო 1145-ს მინიჭებული ჰქონდა სხვადასხვა სპორტული თანრიგი.

80-იანი წლების ბოლოს რაიონში იყო 34 ფიზკულტურული კოლექტივი. 1988 წელს სპორტის ოსტატის ნორმატივები შეასრულა ორმა სპორტსმენმა, კანდიდატობისა – ოთხმა, პირველთანრიგოსანი გახდა – 47, ხოლო მეორე და მესამე თანრიგოსანი – 4868 სპორტსმენი.

მეორე რესპუბლიკურ ახალგაზრდულ თამაშებში რაიონმა მერვე ადგილი დაიკავა, მონაწილეობა მიიღო ათ სახეობაში. განსაკუთრებით კარგად გამოვიდნენ ქართული სტილის მოჭიდავენი, რომელთაც ექვსი პირველი ადგილი დაიკავეს.

რესპუბლიკის ჩემპიონები გახდნენ და საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში შევიდნენ ბ. ტეფნაძე, მ. მაისურაძე (ძიუდო), გ. ჯელაძე (თავისუფალი ჭიდაობა), მ. ყიფშიძე, შ. ჯიბლაძე, ზ. ჩაუჩიძე, ლ. ლომიძე, დ. გრიგალაშვილი (მძლეოსნობა). ხაშურის სპორტულ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი მოვლენა იყო კულტურულ-სპორტული კომპლექსის შენობის აგება, სადაც ოცდაშვიდი სხვადასხვა სახის სპორტული ჯგუფი ფუნქციონირებდა.

90-იანი წლების დასაწყისში, ეროვნული დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ სპორტულ ცხოვრებაში გარკვეულ ძვრებს ჰქონდა ადგილი, რისი დასტურია, თუნდაც, საფეხბურთო კლუბ „ივერიის“ შექმნა, რომლის მატერიალური მდგომარეობის განმტკიცებისათვის თითქმის მთელი რაიონი ზრუნავდა, მაგრამ შემდგომ წლებში ქვეყანაში განვითარებულმა მოვლენებმა უარყოფითად იმოქმედა არა მარტო ფეხბურთის, არამედ სპორტის შემდგომ განვითარებაზეც. თუმცა, სპორტის ზოგიერთ სახეობებში რაიონი კვლავ ინარჩუნებდა მანამდე მიღწეულ წარმატებებს. ეს ითქმის ჭიდაობის (განსაკუთრებით ქართული), მძლეოსნობის შესახებ და სხვა.

კვლავ განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა ფეხბურთი. 50-იან წლებში არსებობას განაგრძობს საფეხბურთო გუნდი „ლოკომოტივი“, მაგრამ 60-იანი წლების დასაწყისში იგი დაიშალა. 1963 წლისათვის ხაშურს საფეხბურთო გუნდი აღარ ჰყავდა.

1964 წელს შეიქმნა ახალი საფეხბურთო გუნდი „ზემო ქართლი“, რომელიც 1970 წლიდან „ივერიის“ სახელით ასპარეზობდა. ამავე წლიდან გუნდი პირველ ჯგუფში გადავიდა, რომელშიც უცვლელად მონაწილეობდა 2 ათეული წელი.

1972 წელს, 28 ოქტომბერს აღინიშნა ხაშურში ფეხბურთის დაარსების 50 წლისთავი. ამ დღეს „ივერია“ შეხვდა თელავის „კახეთს“ და მატჩი საქართველოს თასის მფლობელ გუნდთან მოგებით დაამთავრეს – 2:1. შემდეგ მოედანზე გამოვიდნენ ხაშურელი ვეტერანი ფეხბურთელები. ცნობილი „ლოკომოტივის“ გუნდს (ვასილ დერევიანჩენკო, ოთარ მაღრაძე, გრიშა ჯომარდიძე, ჯუდო ორჯონიკიძე, გიორგი კოპაძე, არჩილ მაჭარაშვილი, ანტონ ფარცვანია, ალექსანდრე რატია, შოთა აბასაშვილი, ვახტანგ ბარბაქაძე, გურამ თოდრია) ხვდებოდა 1950-1954 წლების მოთამაშე ფეხბურთელთა ნაკრები (სიმონ ბუღაძე, ანზორ დანგაძე, დავით კვინიკაძე, ზაურ ლეჟავა, ჯემალ მარკოზაშვილი, ნოდარ ქურდაძე, ნოდარ იკაშვილი, ბუდღუ კიკნაძე, ზურაბ შანიძე, ლერი ჯოხაძე, თენგიზ კეკუტია). შეხვედრა ფრედ, 2 : 2, დამთავრდა. იმავე დღეს რკინიგზის კულტურის სახლში გაიმართა დიდი საზეიმო სხდომა.

70-იანი წლების შედეგები ასეთი იყო: 1971 წელს ჯერ კიდევ პირველი ლიგის დებიუტანტმა გუნდმა მე-12 ადგილი დაიკავა, იმ წელს 50 თამაშიდან 48 ქულა დააგროვა. 1972 წლის სეზონში გუნდი 40 თამაშიდან 37 ქულით (ბურთების სხვაობა 50:69) მე-16 ადგილზე გამოვიდა.

1973 წელი „ივერიისთვის“ (მწვრთნელი ნ. ქურდაძე) ეს იყო „ოქროს ხანა“, როდესაც მან უკან მოიტოვა ათი უძლიერესი მეტოქე და მე-8 ადგილზე გავიდა. მაშინ „ივერიამ“ 34 თამაშიდან 33 ქულა დააგროვა. ბურთების ბალანსი ამჯერადაც უარყოფითი იყო – 40 : 49. ამ სეზონში „ივერიის“ მნიშვნელოვან მიღწევად უნდა ჩაითვალოს საქართველოს თასის ფინალში გასვლა.

1974 წელი განსაკუთრებით კრიტიკული იყო „ივერიისათვის“, გათამაშების მონაწილე ოცი გუნდიდან მე-17 ადგილი დაიკავა.

1975 წელს „ივერიამ“ კვლავ დაიბრუნა დაკარგული პოზიციები, 42 თამაშიდან 39 ქულა, 22 მეტოქეს შორის საერთო მესამე ადგილი, ბურთების სხვაობა 44:45.

1976 წლის მიღწევები ანალოგიური იყო 1975 წლის სეზონისა.

80-იან წლებში „ივერიის შედეგები შემდეგ სურათს იძლევა:

1983 წელს საქართველოს პირველობაში მეექვსე ადგილი მოიპოვა.

1988 წელს „ივერია“ მერვე ადგილზეა საქართველოს პირველობაზე.

80-იანი წლებიდან „ივერია“ სპორტსაზოგადოება „კოლმეურნესა“ და საქსოფლტექნიკის ბაზაზე არსებობს. ამავე პერიოდიდან „ივერია“ აქტიურად იწყებს მონაწილეობას სოფლის ახალგაზრდობის საკავშირო ტურნირში, რომელიც ყოველწლიურად იმართებოდა ოდესის ოლქის ქ. იზმაილში. ტურნირი სოციალისტური შრომის გმირის, ქ. ტატარბუნარის კოლმეურნეობის თავმჯდომარის ვასილ ტურის სახელს ატარებდა.

პირველად „ივერია“ 1981 წლის შემოდგომაზე მიიწვიეს საკავშირო ტურნირის „მეგობრობის“ თასის გათამაშებაში, ქ. ტატარბუნარის აჯანყების სახელობის ლენინის ორდენოსანი კოლმეურნეობის თავმჯდომარის, სოციალისტური შრომის გმირის ვასილ ზაქარიას ძე ტურსის პრიზზე, ტურნირის ჩატარებას ხელმძღვანელობდა ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოების „ოქროს თავთავის“ საკავშირო ცენტრალური საბჭო.

ტურნირში მიწვეულნი იყვნენ თითქმის ყველა მოკავშირე რესპუბლიკის ფეხბურთელთა გუნდები. „ივერია“ მოხვდა ქ. იზმაილის ზონაში, სადაც გამოდიოდნენ ბელორუსიის, სომხეთის და ესტონეთის ფეხბურთელები. ტურნირში მონაწილე 16 გუნდი დაყოფილი იყო 4 ჯგუფად. პირველი შეხვედრა „ივერიამ“ წარმატებით ჩაატარა ბელორუსიის გუნდთან და დამაჯერებელი ანგარიშით 6:0 გაიმარჯვა. ასეთივე წარმატებით ჩაატარეს თამაში სომხეთის ქ. ოქტომბერიანის გუნდთან. სამაგიეროდ ძალზე დრამატულად წარიმართა ესტონეთის გუნდთან თამაში. პირველი ტაიმი უშედეგოდ დამთავრდა. მხოლოდ მეორე ტურში შეძლეს ხაშურელმა ფეხბურთელებმა დაწინაურება და 4:0 დაამთავრეს მატჩი. მოწინააღმდეგის კარში ზედიზედ სამი გოლი გაუტანა თ. ოსაძემ, ხოლო უკანასკნელ წუთებში ო. ტიტვინიძემ შეძლო მე-4 გოლის გატანა.

ნახევარ-ფინალში „ივერია“ ქ. ნიკოლაევის (უკრაინა) ფეხბურთელთა გუნდს შეხვდა. „ივერიელებმა“ მეტად ძნელ ბრძოლაში პენალტებით შეძლეს მოწინააღმდეგის დამარცხება (8:7).

ფინალში ხაშურელი ფეხბურთელები მასპინძლებს – ტატარბურანის ფეხბურთელებს შეხვდნენ. უაღრესად დაძაბული, უშედავათო ბრძოლა მასპინძლების გამარჯვებით (4:1) დამთავრდა.

ჟიურის გადაწყვეტილებით ორივე ფინალისტ გუნდს გადაეცა პირველი პრიზები. „ივერიას“ გადასცეს აგრეთვე გარდამავალი თასი. გათამაშების საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს ხაშურელი პ. თაბუკაშვილი.

1984 წლის გათამაშებაში „ივერიის“ გარდა მონაწილეობდნენ სტეპანაგერტის „ყარაბახი“. ქ. იანგერის „იანგერი“ (აზერბაიჯანი), ქ. ჟდანყის „აზოვეტი“ (უზბეკეთი), ტატარბუნარის „კოლსი“ (უკრაინა) და სხვები.

„ივერიამ“ პირველი შეხვედრა „ყარაბახთან“ გაიმართა და 2:1 მოიგო (გოლების ავტორები ნ. კიკნაძე და ო. ტიტვინიძე). შემდეგი თამაში ჟდანოვის „აზოკეტთან“ შედგა. „აზოკეტი“ ფიზიკურად კარგად მომზადებული და მეტად მობილიზებული გუნდი იყო, თუმცა, შეუპოვარ ბრძოლაში საბოლოოდ „ივერიელებმა“ სძლიეს ანგარიშით 1:0. „იანგერთან“ შეხვედრა „ივერიამ“ გამანადგურებელი ანგარიშით დაამთავრა 7:1.

ფინალში „ივერია“ ტატარბურანის „კოლოს“ შეხვდა და მატჩი ანგარიშით – 4:3 დაამთავრა. მოწინააღმდეგის კარში 3 გოლი გაიტანა ო. ტიტვინიძემ, ხოლო ერთი – ნ. კიკნაძემ.

ხაშურელი ფეხბურთელები დაჯილდოვდნენ მოოქროვილი მედლებით, პირველი ხარისხის დიპლომებითა და გარდამავალი პრიზით. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს თ. ოსაძის, ნ. ლომსაძის, მ. ლომიძის ე. ხაჩიძის, ვ. ჭანგურიძის, ნ. კიკნაძის, ო. ტიტვინიძის, ლ. გაჩეჩილაძის, თ. კურტანიძის და სხვათა თამაში.

თამაზ ლაცაბიძე

(გაგრძელება იქნება)

დილა მშვიდობის, მეგობრებო, ანუ GUTEN MORGEN FREUNDE!

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის, ჟურნალ „მასწავლებლის“ და ინტერნეტგაზეთ „maswavlebeli.ge“-ს, „ლიბერთი“ ბანკის მხარდაჭერით ,ქართველი მწერლებისთვის გამოცხადებულ ლიტერატურულ კონკურსში - „ვწერ მასწავლებლისთვის“, რომელიც ახლახანს დასრულდა, ერთერთი გამარჯვებული სურამის მე-3 საჯარო სკოლის კურსდამთავრებული სოფიკო გოგოლაძე გახდა. დღეს მკითხველს ვთავაზობთ გამარჯვებული კორკუნსატის ნაწარმოებს.

თოვდა, ათოვდა სურამს... ზამთარში ყველაზე მეტად ლამაზია ჩემი სურამი. იმ 90-ინებში ლამპიონებიც კი არ იყო, რომ ეს თოვლის სიბრწყინვალე ქუჩებს მეტად დატყობოდა.

დედა, რა ლამაზია ზამთარში ჩემი სურამი, გაივლი, იქეთ ნაძვი გიყურებს დაფიფქული, აქეთ-გირჩებია დაბლა წამოწოლილები, დაფიფქულ, შეციებულები. მიყვარს, მიყვარს ჩემი სურამი, აი, თოვლის კი რა მოგახსენოთ. მერე სტუდენტი, რომ გავხდი, რომ გავიზარდე, ყველას უხაროდა თოვლი თბილისში, მე კიდევ არასოდეს.

ვხედავდი თუ არა ფიფქებს, მციოდა, ჰოო, ძალიან მციოდა, ერთი, რაც ტკბილად ამ ცივ ზამთარში მახსენდებოდა, ჩემი დირექტორის გზა იყო, უფრო სწორად აღმართი, რომელიც არასოდეს აღმართად არ მოგვჩვენებია მეგობრებს, ეს იყო დიდი გზა მეგობრობის...

ამ აღმართზე, ბევრი უნდა გელაპარაკოთ, რა სიხარულით ავდიოდით ხოლმე ამ დიდი ქუჩას. ამ აღმართმა გვასწავლა ცხოვრება, სიყვარული და კიდევ ბევრი რამ, რაც ცხოვრებას უფრო კარგს და ლამაზს ხდის.

ისე, აღმართი, თუ არ აიარე, რანაირად უნდა დაეშვა დაბლა... დედა, რა კარგად ავიარეთ ეს აღმართი იმ ბნელ 90 -ში.

არა, არა, ყველა აღმართი არ არის ერთნაირი, დამიჯერეთ, ოო, რანაირი კარგი აღმართი იყო ჩემი დირეტქორის, რანაირად დავდიოდით ისე, რომ ერთხელაც არ დაგვიწუწუნია, მაგრამ რას დაიწუწუნებ, როცა სულ რაღაც თექვსმეტი წლის ხარ, სული წინ წინ გეპარება და თვალებში ათასი ეშმაკი გყავს, მარტო მე კი არა, ყველას ეგრე უხაროდა ეგ აღმართი...

ახლა რომ სული წინ წინ გამეპაროს, ხომ დავრჩი გაღიმებული? დაბერდი სოფია, ასე მეუბნება, ხოლმე ჩემი თავი, ძალიან ვბრაზდები ხოლმე, რანაირად დავბერდი, კაცო, ხვალ სურამში უნდა წავიდე და ის აღმართი უნდა ავიარო, ვაკედ, რომ მეჩვენება მთელი ცხოვრება, ჩემს მეგობრებთან ერთად. ჩემს დირექტორთან მივდივართ, უნდა ვნახოთ, მე კიდე სიბერეზე ვწუწუნებ, არ გრცხვენია სოფიო?!

აღმართის ცოტა მოშორებით ჩემი სკოლა იყო,სკოლის დამთვარების შემდეგ,ალბათ არცერთი ზაფხული ,შემოდგომა არ მახსენდება, რომ არ შევკრებილიყავით კლასელები და დირექტორი არ მოგვენახულებინა...

იმდენჯერ ვახსენე, ჩემი კარგი დირექტორი, აუცილებლად დაგაინტერესდებოდათ ალბათ თუ რანაირი იყო ეს ლამაზი სულის ქალი, მოკლედ გეტყვით-თამრიკო მასწავლებელი, უაღრესად განათლებული ქალი იყო, იცოდა რამოდენიმე ენა, იყო დიდი დიპლომატი და იცოდა ადამიანების (მასწავლებლების) შექება, მაშინ, როცა თავად ის პიროვნება ამას არ ელოდა, იყო დიდი მოტივატორი და ესმოდა ყველა ბავშვის, ცელქის, ჭკვიანის, „შატალოს“ მომწყობების, აი, იმ ბიჭების - ტუალეტში ჩუმად სიგარეტს, რომ ეწევიან, აი, იმ მშობლების, ბევრი პრეტენზიები, რომ აქვთ, აი, იმ მასწავლებლების, ზოგჯერ სულ უკმაყოფილოებით, რომ გამოირჩევიან, ცის ესმოდა, მიწის ესმოდა, ბევრჯერ თვალები მომიჭუტავს, დავკვირებივარ, იქნებ ადამიანი არ არის და ანგელოზია? ფრთები აქვსო ანგელოზისო ხომ ამბობენ, კაცო, ჰოდა ერთხელაც,რომ მოვჭუტე თვალები, ღმერთო, ფრთები დავინახე...

-არა,არა სოფო,გელანდება გულში გავიფიქრე, მერე შემაკანკალა, ვიღაცამ თითქოს ყურში ჩამჩურჩულა-

-ფრთებია,ფრთები,ნუ სვავ კითხვის ნიშნებს...

შევშინდი და თან გამიხარდა.

აბა,ასეთი მეგობრობა,რაც ჩვენ მეგობრებს ჩემმა თამრიკო მასწავლებელმა გვასწავლა,მოკვდავ ადამიანებს შეუძლიათ ვითომ?!

დედა, რა ლამაზი კაბინეტი ქონდა, ჩვენს დირექტორს-გრძელი, ძალიან ნათელი. მაგიდა იდგა, დიდი და მწვანე ხავერდი ქონდა გადაკრული ზედ და გარშემო ეს ნაჭერი დიდი ლურსმნებით იყო დაჭედილი, ადვილად, რომ არ შემოტყვაბეულიყო. თორმეტი სკამი იდგა,წინ დიდი ფანჯარა იყო, ჭრელი ფარდით, როცა ქარი ამოვარდებოდა ხოლმე, ამ ფარდას, გააქანებდა, გამოაქანებდა, ჩემს დირექტორს ეს არ სიამოვნებდა და ხელს ყოველვთის წაავლებდა ფარდას,ცდილობდა ფანჯრის იქეთ გადაეგდო, ეს ჭრელი ნაჭერი, ამ ფარდასთან ბრძოლისას, თმა აეშლებოდა ხოლმე, თან თმას ისწორებდა, თან ფარდას არ ეპუებოდა, მე კიდევ ეს ყველაფერ ძალიან მელამაზებოდა.

ვიჯექი სკამზე, ფეხის წვერებზე და სულ ცოტაც და ამოვთქვამდი:

- გინდათ თამრიკო მას, თმა გაგისწოროთ?

- იყოს, იყოს, ეს ქარი არ მიყვარს... მიპასუხებდა ხოლმე

გამესწორებინა ეს თმა რა მოხდებოდა, მინდოდა ასე მოვფერებოდი.

ჩემთან ერთად რიგში, ბევრი ბავშვი იდგა ამაოდ...

სტუდენტი რომ გავხდი, მეორე წელს, ჩემი ლამაზი სკოლა დაიწვა, როგორც ამბობენ, ბუხრიდან ცეცხლი გაჩნდა და მთელ სკოლას ისე მოედო, რომ თითქმის ყველაფერი დაიწვა...

ასე უცებ ამ საზარელმა ამბავმა წამართვა ბავშვობა და ჩემი სკოლის დერეფნები,კიბეები, „ბუფეტი“,

დედა „მეტრიკას“ ჩიოდა, სულ მაინტერესებდა რა იყო ამ „მეტრიკაში“ ასე სადარდებელი, როცა აღარც სკოლა მქონდა და აღარც ის კაბინეტი სადაც ჩემი საყვარელი დირექტორი იჯდა...

-რა „მეტრიკა“ დედაა, ...

-შვილო, მაგას აღდგენა უნდა, საჭიროა...

-საჭირო, დედა, ჩემი სკოლაა, სადაც მთელი ჩემი ბავშობა გავატარე...

მოკლედ,ასე დამეწვა სკოლა,გადარჩა რაღაც ნაწილი,რამოდენიმე სკამი, მაგიდა, მერე დაიწყო ბრძოლა, ახალი სკოლის შენობის მოძიებისათვის.

ჩემს დირექტორს ეს როგორ გაუჭირდებოდა, თავისი დიპლომატიით და ძალიან მალე, ახალი შენობა აიღო, გაგიკვირდებათ და არც ერთხელ არა მქონია სურვილი იმ სკოლაში ასვლისა, იქ აღარაფერი იყო. ჩემი ბავშობის კედლებსაც სხვა სუნი ჰქონდათ, კიბეებსაც, იატაკი აღარ ჭრიალებდა, არც ფარდები ქანაობდნენ, არც ის თორმეტი სკამი იდგა კაბინეტში, იყვნენ მხოლოდ ჩემი მასწავლებლები და ისინიც სხვანაირები მეჩვენებოდნენ, მოკლედ ჩემი ბავშობის რაღაც ნაწილი ამ შენობამ წაიღო...

ჰოდა, მე და ჩემს მეგობრებს დაგვრჩა ეს აღამართი-ჩემი დირექტორის სახლისკენ მიმავალი...

იმ ახალ შენობაში, ბევრჯერ დაგვპატიჟეს ჩვენმა მასწავლებლებმა, მაგრამ არცერთხელ არ ავსულვართ, გინდ დაიჯერეთ გინდ - არა, სკოლის სიყვარულს, იმ აღმართზე ავლით ვიკლავდით...

ჩემი მეგობრებიდან ყველა სტუდენტი გახდა. ზაფხული მოვიდოდა თუ არა, სურამისკენ მივექანებოდით, ოჯახის წევრების ნახვის მერე, სახლის ტელეფონზე (მაშინ მობილურებიც არა გქვონდა) ზარი ისმოდა ხოლმე.

-სოფი, სალამი, გიო ვარ.

-დღეს კინოს ბაღში ვიკრიბებით, თამრიკო მასწავლებელი უნდა ვნახოთ...

-კი, კი, რომელზე, გიო?

შშშშშშშშშ

-ალო, ალო რას სჭირს ამ ტელეფონებს, გიო, ვიღაც ჩაერთო, გავიგე, გავიგე, მანდ ვარ სამ საათზე.

-ჰოო, არ დააგვიანო, დიტო დღესვე ბრუდნება თბილისში, ხვალ გამოცდა ჰქონია და დღესვე უნდა ვნახოთ თამრიკო მასწავლებელი...

დედაჩემი მელოდებოდა გამზადებული, ბებიასკენ უნდა ჩაგვევლო.

-დედა, მეგობრებს შევხვდები და მერე საღამოს ბებიასკენ გამოვივლი.

დედას სწყინდა თითქოს ეს ამბავი, მაგრამ მე ზუსტად ვიცოდი, რას ვაკეთებდი...

ბებიაჩემი დამიცდიდა,ჩემს მეგობრებს კი ეჩქარებოდათ, აღმართიკსენ გვეჩქარებოდა...

გველოდა,მეგობრობა და სიყვარული იმ პატარა აღმართის ავლისას,რომლის ბოლოს ის სახლი იდგა, ჩემი დირექტორი სადაც ცხოვრობდა...

სახლი ძალიან დიდი იყო,დიდი ეზოთი,მწვანე ბალახით...

წინ რამოდენიმე კიბე ჰქონდა ასავლელი, არცერთი ჩემი მეგობარი არ მახსენდება ამ კიბებეზე ნელა ასულიყოს, კუნტრუშით ავირბენდით ხოლმე ამ რვა საფეხურს და სულ სიხარულით ვაღებდით ჩვენი დირექტორის სახლის კარს...

იქ იწყებოდა დიდი ზეიმი, სკოლის ამბების გახსენება, ექსკურსიებიs,ყველა ჩვენი ცელქობის, ძველი თინეიჯერული შეყვარებულობის ამბების.

გრძელ დივანზე ვსხდებოდით,შუაში დიდი კაკლის მაგიდა იდგა, მაღალ ფეხებზე,ზედ ისე ლამაზად იყო დაყრდნობილი ეს ჩემი სკოლის დირექტორი, რომ თითქოს უფრო ბრწყინვალე ხდებოდა ეს კაკლის მაგიდა და მეტად ლამაზი...

-აბა, როგორ ხართ? როგორ მოგწონთ სტუდენტობა.

-კარგია, მას, კარგი, უბრალოდ, როცა აღმართისკენ ავლა გვინდა, თქვენი ნახვა, ეს აღმართი იქ არ არის...

-ლევანი რას შვება ისევ შეყვარებულია?

-აუ, კი მას, უფრო მეტად,მარა არაფერი გამოსდის...

ბევრს იცინოდა...

-ალბათ, ხშირადაც ვერ ნახულობთ ერთმანეთს არა?

-ეს შეკითხვა ჩვენზე ძალიან მოქმედებდა, რადგან მართლაც ასე იყო,რადგან ეს დედაქალაქი იმხელა იყო, რომ ისეთი დიდი სიხშირით და აქტიურად ერთმანეთს ვერ ვნახულობდით, ზოგი გლდანში ცხოვრობდა ზოგი, ვერაზე,ზოგი - თემქაზე და ეს დიდი ქალაქი კიდევ ამის ფუფუნებას არ იძლეოდა,რომ ხშირად გვენახა ერთამენთი...

წლები გადიოდა, სურამში ჩასვლისას არ არსებოდა,ეს აღმართი არ აგვევლო...

არ გვენახა ჩემი დირექტორი, არ გაგვეხსენებინა ჩვენი ბავშობა, ჩვენი სკოლა...

ერთ ზამთარსაც ისე მოხდა, რომ ყველას უკვე ოჯახი გვყავდა, აი, სად ყოფილა აღმართი თურმე ერთხელ გავიფიქრე. ზუსტად ისეთივე სასიამოვნო აღმართი იყო ეს ოჯახური აღმართი,როგორც ჩემი დირექტორის გზა - სახლამდე...მაგრამ, არა, არა ცოტა ძნელი და მეტი პასუხისმგებლობით სავსე!

თითქმის 40 წელს მიტანებულები ვართ ახლა, ყოველ ზაფხულს ვიკრიბებით და ჩვენს ჭაღარანარევ დირექტორს ვნახულობთ, მეტად გვე-

(დასასრული მე-5 გვერდზე)

ლამაზება და გველამაზება ეს ქალი, რადგან მთვარი რაღაცეები, რაც ცხოვრებისათვის საჭირო იყო, ძალიან მყარად და საფუძვლიანად გვასწავლა...

ჰო, ის არ მითქვამს, რომ თამრიკო მასწავლებელი, გერმანული ენის პედაგოგი იყო, იმ რთულ ენასაც გვასწავლიდა თავისი რთული გრამატიკით, ადვილი ხომ არ არის ერთად ბავშვებს ასწავლო ასეთი მეგობრობა და ასეთი რთული ენა...ასეთი რთული დროების სწავლა, წესიერი და არაწესიერი ზმნები...

Perfekt Präteritum

მაგრამ, ყველაზე მნიშვნელოვნად, მაინც მეგობრობის გამყარება და სწავლა გამოსდიოდა...

სულ ბოლოს, ახლახანს ავუარეთ ჩვენს დირექტორს, დიდი სუფრა გაგვიშალა. ღმერთო, რა ბედნიერება იყო,როგორ სათითაოდ ვეფერებოდით და ვემადლიერებოდით, არცერთს ჩემს სამეგობროში ქორწილი მის გარეშე არ გაუკეთებია. გაგიკვირდებათ, ჩემო მკითხველო, და ეს ყველაფერ ნამდვილი ამბავია...

13 მაისს, ყველა ვიკრიბებით ხოლმე, ჩვენს ძალიან საჭირო სამსახურებსაც რაღაცნაირად ვაგვარებთ და მის დაბადების დღეზე მივიჩქარით...

უკვე 75 წლის გახდა, რანაირად გაგვეზარდა ასე? კი არ დაბერდა, უბრალოდ ძალიან გაიზარდა და უფრო დიდი გოგოა, უფრო ლამაზია და უფრო კეთილი...

მერე, რა, ყოველ მისვლაზე მასთან კიდევ უფრო მეტად ბავშვები ვართ ჩვენ, უფრო პატარები და უფრო მეტად ვიცით მეგობრობის ფასი...

სამოცდათხუთმეტის რომ გახდა, დაბადების დღე, ყოფილმა მოსწავლეებმა აღვუნიშნეთ, ღამე ეზოში გადავძვერით, ყვავილებით მოვფინეთ მთელი ეზო, მერე „ფეიერვერკები“ გავუშვით და დიდი კალათა გავუკეთეთ წერილებით სავსე...

ღმერთო, რა ბედნიერი იყო.

აი, ეს არის ცხოვრება! აი, ეს არის მასწვლებლობა, ეს არის გამარჯვება!

ახლა შვებულელებს ველით ჩემი მეგობრები, უკვე დაგეგმილი გაქვს, ჩვენი მასწავლებლის ნახვა,უკვე ვიცით, რომ ჯერ კინოს ბაღში ვიკრიბებით და მერე იმ აღმართს უნდა დავადეგთ,ადრე ძალიან ადვილად,რომ ავივლიდით ხოლმე...

ამ ოროცი წლის ასაკში, რაცხა, გაძნელდა, კაცო, ეს აღმართი, თამრიკო მასწავლებელი კიდევ სულ გვეუბნება, რომ ახლა იწყება ცხოვრება...

ყოველთვის ასე გვეუბნეოდა...

ყველა მრგვალ ასაკში...

20 წელი- დიახ,ახლა იწყება ცხოვრება...

30 წელი-დიახ,ახლა იწყება ცხოვრება-

40 წელი- დიახ,ახალ იწყება ცხოვრება!

როცა კარგი მეგობრობა იცი,მართლაც ,რომ სულ ყოველდღე იწყება ცხოვრება ....

თენდება,ტელეფონის ზარია,ახლა მობილურის,

-სოფ, კინოს ბაღში ვართ, გელოდებით...

-აუ მანქანით ავიდეთ რა, ავლა მეზარება აღმართის...

-კაი, რაა ხომ იცი აღმართს მუღამი აქვს...

-ჰო, კარგით, კარგით...

ეზოში თამრიკო მასწაველებლი გველოდა,

თითქოს გადაგვთვილდა ხოლმე,ხომ ისევ ყველა მივედით მის სანახავდ,

მერე თავისთის ჩაილაპარაკებდა სიტყვებს-:

„ჩავალ ეზოში, გადავხედავ პატარა ბავშვებს.

ცარცით ასფალტზე შემოვხაზავ დიდ კითხვის ნიშანს.“

ამ ყველაფერს რათ უნდოა კითხვის ნიშანი?

ყველაფერი სახეზე იყო-მეგობრობაც,სიყვარულიც.

ჩვენს გარდა მსგავსად სხვა ბევრი კლასი ჰყავდა გასტუმრებული, რომლებსაც მართლაც ალბათ ჩვენზე მეტი ასწავლა. მეგობრობაც და სიყვარულიც, ჩვენზე მეტს იმიტომ ვამბობ, რომ ის მოსწვლეები ბევრჯერ მინახავს თავიანთი კარგი ღირსებებით. დაე, იყოს ასე, მჯობნის ჯობნი...

ჰო, მართლა,

GUTEN MORGEN FREUNDE!

ხაშურელი მოცეკვავეების უდიდესი წარმატება

„ოქროს ფარს“ ამერიკაში ელოდებიან

ხაშურელი მოცეკვავეები ამერიკაში

„ასე და ამგვარად.

აგვისტოში ლას - ვეგასისკენ ჰერი, ჰერი...“, - დაწერა სოციალურ ქსელში ქორეოგრაფმა ნონა თედიაშვილმა და ქსელიც აფეთქდა. 2023 წლის ზაფხულში, ხაშურის ქორეოგრაფიული ანსამბლი „ოქროს ფარი,“ საქართველოს სახელით, ამერიკის შეერთებულ შტატებში, ლას-ვეგასში იცეკვებს. ლას-ვეგასში, რომელსაც ხშირად მსოფლიო გართობის ცენტრს უწოდებენ. ლას-ვეგასში საქართველოს, მსოფლიო კონკურ-ფესტივალზე, სამი ანსამბლი წარადგენს, მათ შორის ერთ-ერთი „ოქროს ფარია“ ქართული ფოლკლორით. ანსამბლ „ოქროს ფარის“ ქორეოგრაფი **ნონა თედიაშვილი** ემოციების გარეშე ვერ გვიამბობს ანსამბლის წარმატებაზე...

-„ოქროს ფარი“ ერთადერთი ანსამბლია ჩვენს რაიონში და მე შემიძლია ვთქვა ჩვენს ქვეყანაშიც,რომელიც ერთი წლის განმავლობაში ორ სხვადასხვა კონტინენტზე, ერთდროულად აფრიკის კონტინენტზე და ამერიკის კონტინენტზეც იცეკვებს. დავიწყებ მაროკოთი... თქვენ იცით,რომ ხაშურის ისტორიაში პირველად,ბავშვთა ანსამბლმა „ოქროს ფარმა“ იცეკვა აფრიკის კონტინენტზე,მაროკოში. 17 მონაწილე ქვეყნის დროშებს შორის საქრთველოს დროშა მაშინ ბოლოში იყო მოთავსებული. ვიდეო ჩავწერე და პირობა დავდეთ „ოქოს ფარმა“, ისე ვიცეკვებდით, რომ საქართველოს დროშა მომავალ წელს სათავეში იქნებოდა. და თავში აიწია კი არა, და საერთოდ გაქრა დანარჩენი ქვეყნები, იმიტომ, რომ ჩვენ წელასც, უკვე მეორედ, მაროკოსთვის ვემზადებით, სოლო კონცერტებით. ეს იქნება ხაშურის ისტორიაში პირველი ფაქტი, როდესაც ბავშვთა ანსამბლი საზღვარგარეთ გადის სოლო კონცერტებით ძალიან ბევრ ქალაქში. ჩვენი მენეჯერი, პროდიუსერი უკვე მუშაობს ამ თემაზე. გადაწყვეტილია, სადღაც, გაზაფხულის ბოლოს გავემგზავრებით. პირობა შევასრულეთ... ეს იქნებ ერთსაათიანი ქართული ცეკვის სოლო პროგრამა, რომელსაც დაესწრება მაყურებელი და გვიხარია, რომ ბევრს გავაცნობთ ქართულ კულტურას....

და ამ მზადებაში ვიყავით, ამ გაწამაწიაში, რომ მოგვივიდა ამერიკიდან მოწვევა. ჩვენს პროდიუსერს, რეჟისორს, საქართველოში ფესტივალების ორგანიზატორს ნინო გელაშვილს გადაუგზავნია დაახლოებით 10 ანსამბლის ფოტო და ვიდეომასალა ამერიკაში. და მოვიდა „ოქროს ფარზე“ მოწვევა. ჩვენ მოვეწონეთ ორგანიზატორებს, ვიყავით აღფრთოვანებულები, ძალიან მოულოდნელი იყო, არ ვიცოდით მოგვეკიდა თუ არა ხელი, გავწვდებოდით თუ არა ამ ყველაფერს... ხალხმა ისეთი რეაქცია გამოხატა, რომ აუცილებლად უნდა წავსულიყავით, სტიმული მოგვცეს. დავიწყეთ ორგანიზება. ნუ, მოვიპოვეთ პირველ ეტაპზე ვიზები, ეხლა მეორე ეტაპზე შედის კიდევ მეორე ჯგუფი ბავშვების და დიდი იმედი გვაქვს, რომ იქიდანაც წარმატებულები დავბრუნდებით.

- ქალბატონო ნონა, გილოცავთ ანსამბლის და მოცეკვავეების უდიდეს წარმატებას და გვაინტერესებს ყველაფერი, რაც ამერიკაში, ბევრისათვის საოცნებო, თავისუფლების ქვეყანაში თქვენს მოგზაურობას უკავშირდება.

- აშშ-ს ყველაზე მაგარ, განვითარებულ ქალაქში, ლას-ვეგასში, მსოფლიო ფესტივალების ორგანიზატორი, ძალიან წარმატებული ზემკოვის საბალეტო აკადემიის მიწვევით მივდივართ, რომელიც მეგობრებთან უკრაინელ მამა-შვილ სტრიმოვსკებთან ერთად ატარებენ ფესტივალს. ხაშურელ ბავშვებს ექნებათ საშუალება, აიხდინონ ოცნება, მოხვდნე სხვა ზღაპრულ სამყაროში.

ეს არის მსოფლიო კონკურს-ფესტივალი. რაც არ უნდა მცირე შემადგენლობით წავიდეთ, თქვენ იცით, რომ ამერიკის ვიზების მიღება ძალიან რთულია, რამდენიმე ბავშვს არ მისცეს... მაგრამ რა შემადეგნლობითაც არ უნდა წავიდეთ, ვდებთ პირობას, რომ საქართველო იქ იქნება ძალიან წარმატებული, ღირსეული და გვინდა, რომ გამარჯვებით დავბრუნდეთ, ვასახელოთ ჩვენი ქვეყანა.

საქართველოდან შერჩეულია სხვადასხვა ჟანრის სამი კოლექტივი. ქუთაისის ბავშვთა ანსამბლი მოდერნის სტილის ცეკვებით, ზუგდიდის ბავშვთა ანსამბლი ვოკალური ნომრებით და „ოქროს ფარი“ ქართული ფოლკლორით. ერთად გავემგზავრებით საქართველოს სახელით და ვეცდებით, საქართველო ყველა ჟანრში იყოს წარმატებული და აღიარებული. ჩვენი მიზანია, ღირსეულად დავბრუნდეთ. რომ რაიონმა, ქვეყანამ იამაყოს „ოქროს ფარელებით“. ყველაზე მეტად ის გვიხარია, რომ ხაშურელი ბავშვები ამ ყველაფერს ნახავენ და პირადად ცოცხლად შეიგრძნობენ.

- მართლაც დიდ პასუხისმგებლობას გაკისრებთ ეს ფაქტი და მინდა, გკითხოთ: როგორ მიდის მზადება?

- ყოველი გასვლის წინ ხდება გადახალისება. ჩვენ რაც ნახაზი გვაქვს, იმით იშვიათად დავდივართ ფესტივალებზე, ყველა ფესტივალს და კონკურს აქვს თავისი მოთხოვნილებები, რასაც უნდა მივყვეთ, დავაკმაყოფილოთ. ამერიკაში გამგზავრებამდე ყველაფერი იქნება დაკონკრეტებული...

მაგრამ ამერიკამდე, მაროკოსა და ამერიკას შორის კიდევ გვაქვს ევროგასვლა, საბერძნეთში, სალონიკში. ეს იქნება ზაფხულში, ივლისში. მოვივლით ევროპასაც, საბერძნეთს ნახავენ ბავშვები, ნახავენ მეტეორას, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, ათონის მთას, ბერი პაისის საფლავს და ძალიან მაღალი დონის ორ კონკურსში მივიღებთ მონაწილეობას. იმედი გვაქვს,რომ საბერძნეთიდანაც პრიზს გამოვიყოლებთ.

არის სხვა მოწვევა ივნისშიც. არ ვიცი, როგორ „დავძლევთ“ დროის ფაქტორს,ვნახოთ. მექსიკიდან გვაქვს კიდევ მოწვევა. მაგრამ მექსიკის საელჩო არ არსებობს საქართველოში, არის მხოლოდ თურქეთში, სტამბულში და ვფიქრობთ, რომ გავუკეთოთ ორგანიზება და თუნდაც რამდენიმე ბავშვით, გავემგზავროთ სტამბულში ვიზების ასაღებად. არ გვინდა გამოვტოვოთ ეს მსოფლიო ფესტივალიც, რაც ძალიან იშვიათად ტარდება მექსიკაში. და ალბათ პირველი ბავშთა ანსამბლი ვიქნებით, ვინც ხაშურიდან გავემგზავრებით. ვნახოთ, ამის ორგანიზებაში ვართ ამ ეტაპზე...წელს ვართ ძალიან ბევრი მიმართულებით დაყოფილი. ყველა მიმართულებით ვმუშაობთ. ჩვენთან ანსამბლის ყველა წევრი კარგად ცეკვავს ყველა ერთმანეთზე საუკეთესო მოცეკვავეა, პატარიდან დაწყებული, დიდით დამთავრებული. ამიტომ, ნიჭით ვერ შევარჩევთ ჩვენთან ბავშვებს, ვინ სად გაემგზავრება, ცოტა რთულია, ვითვალისწინებთ მათ სურვილებს და ვართ მათი სურვილით გადანაწილებული.

ქალბატონი ნონა რამდენიმე ხნის წინ შემდგარ ანსამბლის მოცეკვავეების კიდევ ერთ წარმატებას იხსენებს და იტალიაში, ქალაქ მილანში მათ მოგზაურობაზე გვიყვება სიხარულით და სიამაყით.

(გაგრძელება მე-6 გვერდზე)

„ოქროს ფარს“ ამერიკაში ელოდებიან

-ზუსტად ორი დღეა, რაც ჩვენი მოცეკვავეები, ანსამბლის სამი სოლისტი, სამი მოცეკვავე, რომლებსაც ყველა მსოფლიო ფესტივალი მოვლილი აქვს და ჩვენთანაც მოდიან ამერიკაში, დაბრუნდნენ იტალიიდან , მილანიდან, სადაც მსოფლიო დონის ორგანიზაციის მიერ გახლდნენ მიწვეულები სრული დაფინანსებით. მილანის ტელევიზიაში ჩაიწერა სპეციალური გადაცემა, რომელიც ეთერში დაახლოებით თვენახევრის შემდეგ გავა. იქ მოხდა ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტი. ისეთი მნიშვნელოვანი, რომ მალე მთელი საქართველო ალაპარაკდება. უბრალოდ, გადაცემის ეთერში გასვლამდე, ვერ ვსაუბრობ გასაგები მიზეზით. მაგრამ ჩვენი ბავშვები შევლენ ისტორიაში ნამდვილად. ხაშურელი მოცეკვავეები. ესენი არიან: ნინო ლომსაძე, ვასილ დევდარიანი, ლევან საჩალელი. მოწვევა გაუკეთა ჩვენს ბავშვებს მსოფლიო შოუების მოცეკვავემ, სოლისტმა გიორგი კვანჭიანმა. როდესაც ეს გაჟღერდება, ყველა ალაპარაკდება და ამის უფლებაც გვექნება, მერე აუცილებლად პირველი, ექსკლუზიურად თქვენი მკითხველიც გაიგებს ნამდვილ მიზეზს „ოქროს ფარის“ მოცეკვავეების მილანის ტელევიზიაში სტუმრობისას.

ანსამბლ „ოქროს ფარის“ კიდევ ერთი მოცეკვავე და სოლისტი მარიამ

გიკაშვილი, აწ უკვე „ფოცხიშვილების ნაციონალური ბალეტის“ დასის მოცეკვავე ამერიკაში 2 თვიან საგასტროლო ტურნეში გაფრინდა დასთან ერთად. ხაშურელი ნიჭიერი მოცეკვავე კონცერტებით გამოვა მაიამიში, ფლორიდაში, ნიუ-იორკში, ლოს-აჟელესში, კალიფორნიაში, ტეხასსა და ფილადელფიაში. როგორც ინფორმაცია ვრცელდება, ყველა ბილეთი გაყიდულია და კონცერტების დამატება იგეგმება. წარმატებები ხაშურელ მოცეკვავეს, „ოქროს ფარელ“ მარიამს.

- ქალბატონო ნონა, ბუნებრივია ანსამბლს ჰყავს სპონსორებიც...

- ყოველთის არიან სპონსორები. სპონსორების გარეშე ვერ გავძლებთ. მაროკოში მოგზაურობისას მხოლოდ სამგზავრო ბილეთი შევიძინეთ, ყველაფერი დაფინანსებული იყო. დაფინანსებულია მომავალი მოგზაურობაც. არის ხოლემე თანადაფინანსებაც. მაროკოს დაფინანსების დროს, თვითმფრივავის ბილეთები ძალიან გაძვირდა სეზონის გამო, ამიტომ, არ დავიღლები, ძალიან დიდი მადლობა, მერამდენედ უკვე, რომ გადავუხადო ბატონ ლევან გამრეკელს, რომელმაც გარკვეული ფულადი დახმარება გამოუყო ანსამბლს ბილეთების შესაძენად. უღრმესი მადლობა მას, მის გარეშე ჩვენ მაროკოში ვერ წავიდოდით.

და ბოლოს, არც „ოქროს ფარის“ სხვა ხელმძღვანელები არიან სიახლეების გარეშე. როგორც ქორეოგრაფი ნონა თედიაშვილი აღნიშნავს, „ანსამბლის კოსტიუმები ძალიან დიდ წარმატებას, მოწონებას იმსახურებს როგორც საქართველოში ისე - საზღვარგარეთ - ანსაბლის სამხატვრო ხელმძღვანელის, მთავარი ქორეოგრაფის პაატა თედიაშვილის დამსახურებით. იდგმება ახალი ცეკვები, იხატება და იქმნება ახალი კოსტიუმები და გაზაფხულზე, 26 მაისს, საქართელოს დამოუკიდებლობის დღეს, უკვე ხაშურშიც გამოეფინება და გამომზიურდება“.

- ანსამბლი „ოქროს ფარის“ დირექტორი, ქალბატონი ნელი იაშვილი ანსამბლში, ძირითადად, ბავშვების აღზრდით არის დაკავებული და მათ სიკეთეს ასწავლის. ყოველთვის მისი ინიციატივით ხედება ქველმოქმედების ორგანიზება. ვამბოთ, რომ ჯერ უნდა იყვნენ ადამიანები და მერე მოცეკვავეები. ძალიან ბევრი ეკლესია-მონასტრებისთვის, გაჭირვებული ადამიანებისთვის, უნარშეზღუდული და დაავადებული ბავშვებისთვის გაგვიკეთებია საქველმოქმედო კონცერტები, გვქონდა საახალწლოდ საქველმოქმედო პროექტებიც გაჭირვებული ოჯახების დასახმარებლად. „ოქროს ფარი“, ეს არის იცეკვო, იმღერო, იარო კონცერტებზე, ფესტივალებზე და, პარალელურად, აკეთო ძალიან დიდი სიკეთე. სულ ვეუბნები ბავშვებს, რომ თქვენს ცეკვას, თქვენს სიმღერას, თქვენ ბედნიერებას არ აქვს ფასი, თუ გარშემო არ არის ადამიანი ბედნიერი. თუ გარშემო ვიღაცას უჭირს, აუცილებლად უნდა დავუდგეთ გვერდში... გვინდა, რომ ბავშვობიდანვე ისწავლონ სიკეთის კეთება, მარტო ცეკვა არ არის მთავარი... ადამიანებად უნდა გაიზარდონ ჯერ და მერე მოცეკვავეებად!

ანსამბლი „ოქროს ფარი“ , როგორც საუბარში ქაბატონი ნონა აღნიშ-

ნავს, 13 ივნისს, თბილისის წყალდიდობის დროს დაეხმარნე დაზარალებულებს და თბილისი მერიც გააოცეს. იმ მძიმე დღეებში, ერთადერთმა ანსამბლმა ხაშურიდან, მიიღო ქველმოქმედებაში მონაწილეობა. დაეხმარნე უკრაინის ომის დაზარალებულებსაც. და ამჟამად, მათი სურვილია, თურქეთის ქალაქ გაზიანთების მიწისძვრით დაზარალებულებსაც გვერდით დაუდგნენ.

- ქალაქმა გაზიანთებმა, მისმა მერმა, მოსახლეობამ ჩვენ ძალიან დიდი პატივი და სიყვარული დაგვანახა ფესტივალზე სტუმრობისას, თურქეთში გასტროლზე ყოფნისას („ხაშურის მოამბემ“ თურქეთში „ოქროს ფარის“

წარმატებული და სიურპრიზებით დატვირთული მოგზაურობის შესახებ გაზეთის გასულ ნომრებში უამბო მკითხველს). ამიტომ ჩვენ ახლა ვუკეთებთ ორგანიზებას და თბილისში, თურქეთის საელჩოში მივიტანთ ჩვენს შესაწირ პროდუქტებს, ტანსაცმელს, პირად ნივთებს და რაც შეგვიძლია, დავეხმარებით ამ პატარა ქალაქს... სიკეთე ყოველთვის უკან ბრუნდება.

ამიტომაც არის ალბათ, რომ უფრო მეტ და უფრო დიდ წარმატებას აღწევს ანსამბლი. ძალიან მუშა პროცესი აქვთ ანამბლში და ბევრ წარმატებას ვუსურვებთ. მადლობა რომ ჩვენი ქალაქის სახელით იღვწით.

თეა ახალკაცი

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი და გაზეთის რედაქტორი გიორგი გოგალაძე, მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში.